



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

წლიური ანგარიში

2010

სარჩევი

თავი I. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.....	3
კომისიის შესახებ	3
კომისიის სტრუქტურა	5
კომისიის ბიუჯეტი	6
საკანონმდებლო ცვლილებები.....	7
თავი II. განხორციელებული სამუშაოები.....	8
სააბონენტო ნომრების პორტაბელურობა	8
ბაზრის კვლევა.....	9
ცვლილებები კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.....	13
დადგენილებები.....	13
გადაწყვეტილებები.....	17
ლიცენზირება	18
აუქციონები.....	18
სანქცირება.....	18
ავტორიზაცია.....	18
რადიოსიხშირული სპექტრის მართვა, მონიტორინგი და კოორდინაცია	20
საერთაშორისო თანამშრომლობა.....	25
მომხმარებელთა უფლებების დაცვა	29
ტელე-რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრის კვლევა.....	31
თავი III. ბაზრის მიმოხილვა	33
მობილური კომუნიკაციების ბაზრის მიმოხილვა	33
აბონენტები.....	33
შემოსავალი.....	34
გამავალი ტრაფიკი	35
ქსელის შიდა და ქსელის გარეთა წუთის ფასი.....	36
მობილური აბონენტების მიერ ინტერნეტის მოხმარება.....	39
ფიქსირებული საკომუნიკაციო ბაზრის მიმოხილვა	40
აბონენტები.....	40
შემოსავალი	42
გამავალი ტრაფიკი	43
ფიქსირებული ინტერნეტის ბაზრის მიმოხილვა.....	44
აბონენტები.....	44
ტექნოლოგიები.....	45
შემოსავალი.....	47
მაუწყებლობა და მაუწყებლობის ტრანზიტი	49
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011-2012 წლების სტრატეგიული გეგმა.....	50
დანართი 1: აუდიტორის დასკვნა:.....	51

თავი I. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

კომისიის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში "კომისია"), რომელიც საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ექვსწლიანი ვადით დანიშნული ხუთი წევრისაგან შედგება, საქმიანობა 2000 წლის 1 ივლისს დაიწყო. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეა ირაკლი ჩიქოვანი, ხოლო კომისიის წევრები - აკაკი სიხარულიძე, სოფიო ბრიტანჩუკი, ირაკლი მოსემვილი და კარლო კვიციანიშვილი. კომისიის აპარატი რვა სტრუქტურული ერთეულისაგან შედგება.

დებულების თანახმად, კომისია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მუდმივმოქმედ დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს. იგი არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას, არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მისი შემოსავლის წყარო ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირებისა და ლიცენზიის მფლობელი ოპერატორების მიერ გადახდილი რეგულირების საფასურია. კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტთან და პარლამენტთან.

ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი დამოუკიდებელი კომისიის შექმნის წინაპირობა გახდა პარლამენტის მიერ 1999 წლის 23 ივლისს მიღებული საქართველოს კანონი კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შექმნამ კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის სრულიად ახლებური ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები დაადგინა. კანონის მიხედვით, გამიჯნულია მთავრობის, როგორც დარგში პოლიტიკის დამდგენი ორგანოსა, და კომისიის, როგორც მარეგულირებელი ორგანოს, ფუნქციები.

კომისიის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიც არის:

- ✓ ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მონოპოლიური საქმიანობის დაუშვებლობა;
- ✓ თანასწორუფლებიანი და სამართლიანი კონკურენტული გარემოს შექმნა;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და, ამ მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა;
- ✓ მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა.

კომისია უფლებამოსილია, გამოაცხადოს კონკურსი და აუქციონი რადიომაუწყებლობის, ტელემაუწყებლობის, ნუმერაციისა და სიხშირული რესურსებით სარგებლობის გამოყენების ლიცენზიის მისაღებად. ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია და ლიცენზიების გაცემა, შეჩერება, გაუქმება და ვადის გაგრძელება მხოლოდ კომისიის პრეროგატივაა. კომისია, ასევე, ვალდებულია,

განახორციელოს მონიტორინგი ავტორიზებული პირების საქმიანობაზე, გაცემული ლიცენზიების პირობების შესრულებაზე და აწარმოოს ავტორიზებულ პირთა და ლიცენზიის მფლობელთა უწყებრივი კომისიის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა; ბაზრის გამართული და სტაბილური ფუნქციონირებისათვის განიხილოს ლიცენზიის მფლობელთა შორის წარმოქმნილი დავები, ასევე დავები მათსა და მომხმარებელს შორის.

კომისიის ძირითად ფუნქციებია საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობისა და მომსახურების მიწოდების, აგრეთვე - ტელე-რადიოსამაუწყებლო ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრა და ამ პრიორიტეტებთან ლიცენზიის მაძიებლების მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის შესაბამისობის დადგენა. მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის: „მაუწყებლობის შესახებ“, „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“, „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“ და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონების შესრულების და სალიცენზიო პირობების დაცვის მიზნით კომისია აწარმოებს ტელერადიომაუწყებლობის მონიტორინგს.

კომისიის კომპეტენციაში შედის რადიოსიხშირული სპექტრის დადგენა და განაწილება, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის საშუალებების სერტიფიცირება, სტანდარტიზაცია, მეტროლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა.

კომისია არეგულირებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების ურთიერთჩართვის ტექნიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ საკითხებს, რომლის ძირითადი მიზანი საერთო სარგებლობის ქსელის ერთიანობის უზრუნველყოფასთან ერთად მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ნებისმიერი ოპერატორის მომსახურების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფაა.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს განვითარების, მართვის და რეგულირების ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა წარმოადგენს. გასული წლების განმავლობაში კომისია აქტიურად იყო ჩაბმული მსოფლიო ბანკის (The World Bank – WB) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (United States Agency for international Development - USAID), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD – European Bank for Reconstruction and Development), გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP – United Nations Development Programme) და ევროპის საბჭოს (CoE – Council of Europe) მიერ სხვადასხვა დროს ორგანიზებულ საკონსულტაციო თუ დარგის განვითარების ხელშეწყობ პროექტებში.

2001 წლიდან კომისია ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI – European Telecommunications Standards Institute) წევრია. 2008 წლიდან კომისია წარმოადგენს ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის ნაციონალური სტანდარტების ორგანოს (NSO – National Standards Organization) საქართველოში. 2005 წლის

თებერვალში საქართველო მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის (ICANN/GAC Internet-Corporation for Assigned Names and Numbers) მე-100 სამთავრობო წევრი გახდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ქვეყნის ინტერესებს ზემოაღნიშნულ კომიტეტში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია წარმოადგენს.

”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებასთან (ITU – International Telecommunications Union) და ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტთან (ETSI).

2007 წლიდან საქართველო გახდა საფოსტო და სატელეკომუნიკაციო ადმინისტრაციების ევროპული კონფერენციის (CEPT – European Conference of Postal and Telecommunications Administrations) სრულუფლებიანი წევრი. ადმინისტრაციას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, მაგრამ კომისია, როგორც მარეგულირებელი ორგანო, მჭიდროდ თანამშრომლობს CEPT-თან.

კომისიის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობის პრინციპია საზოგადოებასთან ღია, საჯარო და გამჭვირვალე ურთიერთობა. კომისიის დადგენილებების და გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება საჯაროდ.

კომისიის სტრუქტურა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატი შედგება 8 სტრუქტურული ერთეულისგან: სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, ადმინისტრაციული დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, სამართლებრივი დეპარტამენტი, კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი, რადიოსიხშირეთა დეპარტამენტი, ნუმერაციის დეპარტამენტი და მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტი.

კომისიის აპარატის გარეთ ფუნქციონირებს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური და პრეს-მდივანი.

კომისიის აპარატში მუშაობს 92 თანამშრომელი.

კომისიის ბიუჯეტი

”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” და ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონების თანახმად, რეგულირების საფასური არის კომისიის ბიუჯეტის შექმნის ძირითადი წყარო, დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით კომისიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან და არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. რეგულირების საფასურიდან იფარება კომისიის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯები.

რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან ლიცენზიის მფლობელები და ავტორიზებული პირები.

რეგულირების საფასურის ოდენობაა:

- მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,5 პროცენტი. რეგულირების საფასური გამოიანგარიშება კალენდარული წლის განმავლობაში ლიცენზიის მფლობელის შემოსავლიდან ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან ყოველთვიურად ფაქტობრივად მიღებული შემოსავლიდან გამომდინარე. ლიცენზიის მფლობელები ვალდებულნი არიან, ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, ჩარიცხონ კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასური და წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით;
- ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,75 პროცენტი. ავტორიზებული პირები ვალდებულნი არიან ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის დადგენილებით დამტკიცებული ფორმით წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის შესახებ და კომისიის ანგარიშზე ჩარიცხონ რეგულირების საფასური.

2010 წლის განმავლობაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დარიცხულმა შემოსავლებმა შეადგინა: 5,600,241.12 ლარი; საოპერაციო ხარჯებმა - 4,595,127.22 ლარი; ხოლო ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯებმა - 90,682.92 ლარი.

საკანონმდებლო ცვლილებები

საანგარიშო წლის განმავლობაში "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" და "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონებში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება:

- ცვლილება შეეხო რეგულირების საფასურის ოდენობასა და დაანგარიშების წესს ავტორიზებულ პირთათვის. კერძოდ, ცვლილებამდე რეგულირების საფასურს წარმოადგენდა: რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიან ღირებულებასა (დღგ-ს გარეშე) და იმავე საანგარიშო თვეში სხვა ავტორიზებული პირების მიერ გაწეულ დაშვების ან/და ურთიერთჩართვის მომსახურებაზე აღიარებულ გადასახდელებს შორის სხვაობის 0.5%. ხოლო ცვლილების შემდეგ, რეგულირების საფასურს წარმოადგენს ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0.75% (საქართველოს კანონი "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ", მუხლი 12, პუნქტი 4);
- შეიცვალა, ასევე, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის წესები (საქართველოს კანონი "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ", მუხლი 12, პუნქტი 4);
- ცვლილებები და დამატებები შევიდა "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონშიც. კერძოდ: ცვლილებამდე საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელები ვალდებულნი იყვნენ, სამაუწყებლო ბადეში, კვირაში 4-ჯერ, უცხოური წარმოების ფილმები განეთავსებინათ ორიგინალურ (პირველადი წარმოების) ენაზე/ენებზე, ქართული სუბტიტრებით (გარდა სერიალებისა). კანონში ცვლილების შეტანის შემდეგ, ზემოაღნიშნული მაუწყებლები ვალდებულნი არიან, ყოველი უცხოური წარმოების ფილმი (გარდა სერიალებისა) თავის სამაუწყებლო ბადეში განათავსონ მხოლოდ ორიგინალურ (პირველადი წარმოების) ენაზე/ენებზე, ქართული სუბტიტრებით (საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ", მუხლი 51¹, პუნქტი 2).

თავი II .განხორციელებული სამუშაოები სააბონენტო ნომრების პორტაბელურობა

საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონში 2008 წლის 27 ივნისს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ აიღო ვალდებულება, განეხორციელებინა სააბონენტო ნომრების პორტირება (ტრანსლირება). კომისია რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა აღნიშნულ საკითხზე. მიმდინარეობდა საერთაშორისო გამოცდილების განხილვა-ანალიზი სააბონენტო ნომრების პორტირების მოდელის შესარჩევად და საქართველოს ბაზარზე დასაწერად, არსებული თავისებურებების გათვალისწინებით.

2010 წლის 04 ივნისს, N256/23 გადაწყვეტილებით, კომისიამ დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების მიღების მიზნით.

2010 წლის 06 ივლისს საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი წესით, N3 დადგენილებით დამტკიცდა სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულება, რის შედეგადაც აბონენტს მიეცა შესაძლებლობა, აირჩიოს/შეცვალოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მომწოდებელი ოპერატორი, ისე, რომ სრულად შეინარჩუნოს თავისი სააბონენტო ნომერი. ზემოაღნიშნული დებულებით სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის უზრუნველყოფა განისაზღვრა, როგორც ყველა შესაბამისი ავტორიზებული პირის ვალდებულება.

ზემოაღნიშნული დებულება არეგულირებს: ავტორიზებული პირების ვალდებულებებს სატელეფონო ნომრების პორტირებისას, პორტირების პროცედურებს, სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შერჩევის წესს; მასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობებსა და ვადებს; დავების განხილვის წესსა და პირობებს.

კომისიას, აღნიშნული დებულებით, დაევალა სააბონენტო ნომრის პორტაბელურობის უზრუნველყოფისა და სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შერჩევის ზოგადი წესების მიღება.

გამოცხადდა სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევი კონკურსი და დამტკიცდა კონკურსის ჩატარების წესი და პირობები (კომისიის 2010 წლის 30 ივლისის N 355/10 გადაწყვეტილება). საკონკურსო პირობების თანახმად, კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის რეზიდენტ იურიდიულ პირებს, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: მათ ან/და მათთან ურთიერთდამოკიდებულ (ავილირებულ) პირს უნდა ჰქონოდათ სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის

მონაცემთა ცენტრალური ბაზის დანერგვის გამოცდილება სულ ცოტა 2 ქვეყანაში; და მათ, ან/და მათთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირს უნდა ჰქონოდათ სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრირების გამოცდილება.

კომისიამ ჩაატარა სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევი კონკურსი. საკონკურსო კომისიაში გაერთიანდნენ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის შესაბამისი დეპარტამენტების თანამშრომლები, შვედური საკონსულტაციო ფირმა „ბოკა კონსალტინგისა“ და ადგილობრივი ოპერატორების, კერძოდ - შპს „მაგთიკომის“, შპს „მობიტელის“, შპს „ახალი ქსელების“, შპს „ახტელის“, შპს „ჯეოსელისა“ და სს „სილქნეტის“ ოფიციალური წარმომადგენლები. 2010 წლის 03 სექტემბრის N 412/10 გადაწყვეტილებით, საკონკურსო საბჭომ შეარჩია სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორი – შპს „მედიაპრო ჯორჯია“. გაფორმდა ხელშეკრულება სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრირების თაობაზე.

ბაზრის კვლევა

2010 წლის განმავლობაში, კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზნით, ჩატარებულ იქნა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის საბითუმო და საცალო სეგმენტებზე კონკურენციის კვლევა და ანალიზი:

- ✓ “მომრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევა და ანალიზი;
- ✓ “ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევა და ანალიზი;
- ✓ ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) მომრავი სატელეფონო ხმოვანი მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევა და ანალიზი.

მომრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის კვლევისას შესაბამისი სეგმენტების გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვრა საქართველოს მთელი ტერიტორია, სადაც საქმიანობას ახორციელებენ შემდეგი ავტორიზებული პირები:

- ა) შპს „ჯეოსელი“;
- ბ) შპს „მაგთიკომი“;

გ) შპს "მობიტელი".

ჩატარებული კვლევის შედეგად, მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ დადგინდა იქნენ შპს "ჯეოსელი" და შპს "მაგთიკომი". მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრისათვის ძირითად კრიტერიუმად შერჩეულ იქნა აბონენტების რაოდენობის მიხედვით ავტორიზებული პირის მიერ დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი, რომლის მიხედვითაც შპს "ჯეოსელის" საბაზრო წილი შეადგინა - 44,56%, ხოლო შპს „მაგთიკომის“ საბაზრო წილი - 43,81%.

მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურების ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები:

1. ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება;
2. დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;
3. ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;
4. დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება;
5. სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება, რომლის ფარგლებში ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე განსაზღვრულ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კონკრეტულ პირებს, შპს "მაგთიკომს" და შპს "ჯეოსელს", დაუდგინდათ სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების მომსახურების სახეებზე ზედა ზღვრული ტარიფი - 8 თეთრის ოდენობით წუთზე, დღ-ს ჩათვლით.

ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/ დასრულება) საბითუმო ბაზრის კვლევისას საბითუმო ბაზარი დაიყო:

1. ფიქსირებული სადენიანი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებად; და
2. ფიქსირებული უსადენო საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებად.

საანგარიშო წლის განმავლობაში ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელებით მომსახურებას ეწეოდნენ შემდეგი ავტორიზებული პირები:

1. სს "სილქნეტი"
2. შპს "ახალი ქსელები"
3. შპს "ახტელი"
4. შპს "მაგთიკომი"
5. შპს "კავკასიის ციფრული ქსელები"
6. შპს "კეთილი ნების კომუნიკაციები"
7. შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია"
8. შპს "ივერია ქსელები"
9. შპს "რკინიგზის ტელეკომი"
10. შპს "კომუნიკაციების საკონსულტაციო ჯგუფი"
11. შპს "ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუფი"
12. შპს "ალფაკომი"
13. შპს "ბოლნისის ახალი ქსელები"
14. შპს "ვემატელი"
15. შპს "ვოიპნეტი"
16. შპს "ჯეონეთი"
17. შპს "ალექს დეველოპმენტი"
18. შპს "ჯეოცნობარი"
19. შპს "მეტაკომი"
20. შპს "კავკასუს ონლაინი"
21. შპს "სერვისი"
22. შპს "სელკომი"
23. სს "გლობალ ერთი"
24. შპს "მაქსტელი"
25. შპს "ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს"

ფიქსირებული სადენიანი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის კვლევისას შესაბამისი სეგმენტების გეოგრაფიულ საზღვრებად განისაზღვრა ადგილობრივი მომსახურების ზონები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფიქსირებული სადენიანი საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირები არიან: სს "სილქნეტი" (საქართველოს ყველა ადგილობრივი მომსახურების ზონაში, გარდა რუსთავისა), შპს "ახალი ქსელები/შპს "ახტელი" (ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში), შპს "ივერია ქსელები" (ქ. ზუგდიდში), შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" (ქ. რუსთავში).

უსადენო ფიქსირებული ქსელით მომსახურებას ეწევა სს "სილქნეტი" (800 მჰც-იან სიხშირულ დიაპაზონში), შპს "მაგთიკომი" (450 მჰც-იან სიხშირულ დიაპაზონში) და შპს "ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს" (1900 მჰც-იან სიხშირულ დიაპაზონში). სამივე კომპანიის სარგებლობაში არსებული ამოწურვადი სიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზიები მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას, მათ აქვთ შესაძლებლობა, მომსახურება უზრუნველყონ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევისა და ანალიზის მიზნით, სამივე კომპანიის მიერ უსადენო ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო მომსახურების გეოგრაფიულ ფარგლებად განხილულ იქნა საქართველოს მთელი ტერიტორია.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფიქსირებული უსადენო საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონეა შპს "მაგთიკომი";

ფიქსირებული სადენიანი და უსადენო საკომუნიკაციო მომსახურების ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე განსაზღვრულ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დაეკისრათ შემდეგი ვალდებულებები:

1. ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება;
2. დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;
3. ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;
4. დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება;
5. სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება, რომლის ფარგლებში ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კონკრეტულ პირებს, დაუდგინდათ სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების მომსახურების სახეებზე ზედა ზღვრული ტარიფი - 2 თეთრის ოდენობით წუთზე, დღგ-ს ჩათვლით (ნაცვლად მანამდე არსებული 4 თეთრისა).

გარდა ზემოაღნიშნულისა, კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზნით, 2010 წელს, ჩატარდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კვლევა:

მიუხედავად იმისა, რომ კომისიის 2010 წლის 21 მაისის #240/9 გადაწყვეტილებით, 2010 წლის 1 აგვისტოდან, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე მობილური

კომპანიებისთვის დადგენილი ურთიერთჩართვის მომსახურების ზედა ზღვრული ტარიფები შემცირდა 14.8 თეთრიდან 8 თეთრამდე, რაც იძლეოდა მობილური მომსახურების საცალო ტარიფების შემცირების შესაძლებლობას, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე მობილური კომპანიების მიერ რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიმართულებით არ გადადგმულა.

ამავე დროს, კომისიამ გაითვალისწინა ის ფაქტორიც, რომ საქართველოში მობილური მომსახურების ბაზარზე არსებობს შესვლის დაბრკოლება, უპირველესად, თავისუფალი სიხშირული რესურსების არარსებობის გამო. სიხშირული რესურსები განაწილებულია ბაზარზე მოქმედ კომპანიებს შორის და ამ გარემოების გამო ფაქტობრივად შეუძლებელია ახალი მობილური ქსელის აგება და მობილური მომსახურების მიწოდება მსურველი ავტორიზებული პირის მიერ.

გარდა ამისა, საქართველოში არ არის განვითარებული მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის მომსახურება, არც რაიმე სხვა სახით არის უზრუნველყოფილი არსებული მობილური ქსელის ელემენტებთან და რესურსებთან მსურველი ავტორიზებული პირების დაშვება, რაც ხელს შეუწყობდა კონკურენციის განვითარებას საცალო მომსახურების ბაზრის სეგმენტებზე და, შესაბამისად, მომხმარებლებისთვის მობილური მომსახურების კონკურენტული ფასების შეთავაზებას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, საკუთარი ინიციატივით ჩაეტარებინა ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) მოძრავი სატელეფონო ხმოვანი მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევა და ანალიზი. კომისიის 2010 წლის 17 სექტემბრის N435/23 გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

ცვლილებები კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში

დადგენილებები

საანგარიშო პერიოდში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ასევე, კომისიის მიერ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების - კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების მიღებას.

2010 წელს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო 7 დადგენილება:

დადგენილება N 1

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 16 მარტის №3 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

კომისიის მიერ მარეგულირებელი ფუნქციისა და დაკისრებული სპეციალური კომპეტენციის ეფექტურად, სატელეკომუნიკაციო და სამაუწყებლო ბაზრების განვითარების თანამედროვე ტენდენციების ადექვატურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული დადგენილებით, შეიცვალა კომისიის აპარატის შიდაორგანიზაციული სტრუქტურა. კერძოდ: ცალკე პუნქტად გამოვიდა პრესმდივნის ფუნქციები, ახლებურად ჩამოყალიბდა აპარატის სტრუქტურა, გაუქმდა მონიტორინგის დეპარტამენტი, ორ დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად გაიყო სტრატეგიული განვითარებისა და კონკურენციის დეპარტამენტი, შეიქმნა ნუმერაციის რესურსის მართვის დეპარტამენტი.

დადგენილება N 2

კერძო (საერთო ან სპეციალიზებული) მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელთა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო ბადეში არასახელმწიფო ენაზე წარმოებული ფილმის პირველადი წარმოების ენაზე (ენებზე), საქართველოს სახელმწიფო ენაზე დუბლირების გარეშე, საქართველოს სახელმწიფო ენაზე სუბტიტრებით განთავსების წესის თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 30 ოქტომბრის №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

გამომდინარე იქიდან, რომ კანონის თანახმად მოიხსნა ზედა ზღვარი, კერძოდ - არაუმეტეს 4 ფილმისა, რაც გათვალისწინებული იყო მაუწყებლის მიერ, ყოველკვირეულ სამაუწყებლო ბადეში ფილმის პირველადი წარმოების ენაზე, საქართველოს სახელმწიფო ენაზე დუბლირების გარეშე, სახელმწიფო ენაზე სუბტიტრებით განთავსებისათვის, აუცილებელი გახდა კომისიის დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

დადგენილება N 3

სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ

ნომრის პორტაბელურობის დებულების მიღება გამომდინარეობს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში აბონენტის კანონიერი ინტერესების დაცვის მაღალი საჯარო ინტერესებიდან. ნომრის პორტაბელურობა აძლევს აბონენტს არჩევანის შესაძლებლობას, შეინარჩუნოს იგივე სააბონენტო ნომერი ფიქსირებული ან მოძრავი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან მომსახურების მიწოდებაზე, ავტორიზებული პირის სხვა ავტორიზებული პირით შეცვლისას.

დებულებაში ასევე დეტალურად არის განსაზღვრული ავტორიზებული პირების ვალდებულებები სააბონენტო ნომრის პორტაბელურობასთან მიმართებით. დებულებაში

გათვალისწინებულია სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის შექმნა და ადმინისტრირების ტექნიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხები, ასევე მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი და პროცედურები და ვალდებულებები.

დადგენილება N 4

“ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე

კომისიამ მიიღო დადგენილება „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა ავტორიზებული პირების ვალდებულებები სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მათ შორის - აბონენტებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, ფიქსირებულ და მობილურ საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელ ავტორიზებულ პირებს, განესაზღვრათ შესაბამისი ვალდებულებები სააბონენტო ნომრების პორტაბელურობასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებით, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იქნა აბონენტის მიერ ნომრების პორტაბელურობის მომსახურებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება და მეორე მხრივ, დებულება შესაბამისობაში მოვიდა მოქმედ კანონმდებლობასთან.

დადგენილება N 5

“რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის N6 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოში ანალოგურიდან ციფრულ სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საჭირო ხდება ციფრულ მაუწყებლობასთან დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიური საშუალებების, კერძოდ მაღალი გარჩევითუნარიანობის მქონე ციფრული ტელევიზიისა და მობილური მიღებისათვის შექმნილი ციფრული ვიდეომაუწყებლობის გავრცელებისა და გამოყენების სამართლებრივი და ტექნიკური მხარდაჭერა. ევროპის ქვეყნებში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა უკვე დაწყებულია. გადასვლის პროცესი, 2006 წლის ჟენევის რადიოკავშირის კონფერენციის - RRC-06 - გეგმის, GE06, შესაბამისად, 2015 წლისთვის უნდა დასრულდეს.

საქართველოს, როგორც საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების წევრ ქვეყანას, აღებული აქვს ვალდებულება, რომ არაუგვიანეს 2015 წლის 17 ივნისისა, მთლიანად გადავიდეს ციფრულ მაუწყებლობაზე, ქვეყნისთვის გამოყოფილ ციფრულ არხებზე. საქართველოსთვის გამოყოფილია 175 ციფრული არხი. ვინაიდან, განაწილებული სატელევიზიო არხების უმეტესობა ემთხვევა საქართველოში მოქმედ ანალოგურ სატელევიზიო არხებს, აღნიშნული დადგენილება მიზნად ისახავს ციფრული

სამაუწყებლო გადამცემის ე.წ. ტესტურ რეჟიმში ჩართვას ამ დროისათვის თავისუფალ სიხშირულ არხებზე და ციფრულ მაუწყებლობაზე თანმიმდევრულ გადასვლას. გარდამავალ პერიოდში იფუნქციონირებს ორივე ტიპის მაუწყებლობა, როგორც ანალოგური, ასევე - ციფრული.

მიღებული დადგენილებით განისაზღვრა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის წინაპირობები, გარდამავალ პერიოდში სიხშირული რესურსის ეფექტურად ჩანაცვლების კონკრეტული გეგმა, გადასვლის პროცესი, მიღებული შედეგები და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის კოორდინაცია.

დადგენილება N 6

„რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის №12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

აღნიშნულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა გამოიწვია საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესულმა ცვლილებამ, რომლის მიხედვითაც მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი პირი აქციზის გადამხდელი გახდა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით, მობილური საკომუნიკაციო მომსახურების განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ოპერაციის თანხის 10 პროცენტს, ხოლო მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწევი პირისთვის დასაბეგრი ბრუნვა არის საანგარიშო პერიოდში გაწეული მობილური საკომუნიკაციო მომსახურების თანხების ჯამი, ანუ კომისიის მიერ დაქვემდებარებული საქონლის მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულება. მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის შემთხვევაში დასაბეგრი თანხა განისაზღვრება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) აქციზის, დღგ-ის ან/და პირგასამტეხლოს გარეშე.

დადგენილება N 7

“ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

დებულებაში შესული ცვლილებით, ერთი მხრივ, დაკონკრეტდა ზოგიერთი განმარტება, კერძოდ - შეტყობინება და წუთობრივი მომსახურების საფასური; მეორე მხრივ, დაზუსტდა რიგი ნორმებისა, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეფექტიანობას. მაგალითად, რეგლამენტის მე-10 მუხლს დაემატა მე-11 პუნქტი, რომლის შესაბამისად, მომხმარებლისთვის მომსახურების საფასურის აღრიცხვა უნდა განხორციელდეს წამობრივი სიზუსტით.

გადაწყვეტილებები

2010 წელს კომისიის მიერ სხვადასხვა თემებზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

ლიცენზირება:

- გაცემა 7
- მოდიფიცირება 11
- გაუქმება 2
- გადაპირება 14

ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭება, მონიტორინგი:

- სიხშირის მინიჭება 268
- ნებართვის გაცემა ტერმინალებით შემოტანაზე 42
- კოდის მინიჭება 24
- მინიჭებული სიხშირის კოორდინაცია 2

აუქციონები, კონკურსი:

- აუქციონის გამოცხადება 13
- აუქციონზე გამარჯვებულის გამოვლენა 6
- აუქციონის ჩაშლილად გამოცხადება 5
- კონკურსის გამოცხადება, მასში გამარჯვებულის გამოვლენა 2

კონკურენციის და კანონმდებლობის დარღვევების რეგულირება, მომხმარებელთა უფლებები:

- ბაზრის კვლევა (წარმოება, შედეგები, წარმოების დაწყება) 4
- დავები (განხილვის დღის დანიშვნა, დავის შეწყვეტა, ვადის განსაზღვრა, უარის თქმა, დაკმაყოფილება, მორიგება, მოსამზადებელი სხდომები) 14
- სანქცირება 53
- ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, შეწყვეტა 25

სამართლებრივი აქტების სრულყოფა, კომისიის ბიუჯეტი

- ნორმატიული აქტების განხილვა 3
- ბიუჯეტისა და ანგარიშების განხილვა-დამტკიცება 5
- ცვლილებები გადაწყვეტილებებში (შეცდომების გასწორება, ძალადაკარგულად გამოცხადება) 24

სხვადასხვა

- წარმოებაში არმიღება – უარი ან განუხილველად დატოვება 5
- ცვლილებები გადაწყვეტილებებში (შეცდომების გასწორება, ძალადაკარგულად გამოცხადება) 14
- ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, შეწყვეტა) 12

ლიცენზირება

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გაცემს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის, სიხშირული რესურსით სარგებლობისა და მაუწყებლობის ლიცენზიებს. 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ გაცემულია 350 ლიცენზია. აქედან:

➤ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია (N)	-	164
➤ სიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზია (F)	-	81
➤ მაუწყებლობის ლიცენზია (B)	-	108

აუქციონები

2010 წელს გამოცხადდა 8 აუქციონი და გამოვლინდნენ გამარჯვებულები. აქედან:

- 2 შემთხვევაში - გამარჯვებულებმა მოიპოვეს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიები, ხოლო -
- 6 შემთხვევაში - რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიები.

საანგარიშო პერიოდში გამართულ 8 აუქციონზე ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის ჯამმა 87 733 ლარი შეადგინა.

სანქცირება

„მაუწყებლობის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონების, ასევე - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დარღვევის გამო, ავტორიზებული და ლიცენზიის მფლობელი პირების სანქცირების თაობაზე, კომისიამ მიიღო 51 გადაწყვეტილება 61 კომპანიის მიმართ. აქედან: 30 შემთხვევაში კომპანია გაფრთხილდა, 31 შემთხვევაში კი - დაჯარიმდა. საანგარიშო წელს, სახელმწიფო ბიუჯეტში, ჯარიმის სახით შევიდა 433 053 (ოთხას ოცდაცამეტი ათას ორმოცდაცამეტი) ლარი.

ავტორიზაცია

კომისიის 2009 წლის 23 ოქტომბრის N546 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა ავტორიზაციის დეკლარაციის სახემეცვლილი ფორმები. აღნიშნული გადაწყვეტილებით, ავტორიზირებულ პირებს დაევალებათ 2010 წლის 5 იანვრიდან 15 თებერვლამდე ინფორმაციის ახალი ფორმების მიხედვით წარმოდგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სულ: 2010 წელს ავტორიზაცია გაიარა 227-მა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა; მომსახურების მიხედვით ავტორიზაციები შემდეგნაირად განაწილდა:

B.F.1 ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება:

- ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება - 48
- საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება - 46
- საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება - 43

B.F.2- ინტერნეტ-მომსახურება:

- კომუტირებადი არხებით ინტერნეტ-მომსახურება (dial-up) - 17
- სპილენძის წყვილებით ინტერნეტ-მომსახურება (DSL) - 30
- ოპტიკური ქსელით ინტერნეტ-მომსახურება - 27
- კოაქსიალური ქსელით ინტერნეტ-მომსახურება - 5
- WiMax - 9
- WiFi - 37
- CDMA - 4
- 3G - 3
- სხვა - 6
- ბოლო მომხმარებლის ინტერნეტ ჰოსტინგით მომსახურება - 1

B.F.3 მონაცემთა გადაცემა - 8

B.F.4 ტრანზიტული მაუწყებლობით მომსახურება

- ტრანზიტული ტელემაუწყებლობით მომსახურება - 8
- ტრანზიტული რადიომაუწყებლობით მომსახურება - 110

B.M.1 მოძრავი საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით უზრუნველყოფა

- ადგილობრივი და მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტებთან სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება - 6
- მოძრავი საერთაშორისო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება - 12
- როუმინგული კავშირით მომსახურება - 6

B.M.2 მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტთა გაფართოებული მომსახურებით უზრუნველყოფა:

- ტექსტური შეტყობინებით მომსახურება - 6
- მულტიმედიური მომსახურება - 5
- ციფრული მონაცემების გადაცემით მომსახურება (GPRS და სხვა) - 5

- მოძრავი ინტერნეტ-მომსახურება - 6
- მოძრავი ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება - 4
- სხვა მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურება - 2

B.S.1 მოძრავი თანამგზავრული სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება - 3

B.S.2 ციფრულ მონაცემთა გადაცემით მომსახურება თანამგზავრული არხის მეშვეობით - 5

B.S.3 ინტერნეტ-მომსახურება თანამგზავრული არხის მეშვეობით - 4

B.S.4 ტრანზიტული მაუწყებლობით მომსახურება თანამგზავრული არხის მეშვეობით - 3

B.S.5 სხვა თანამგზავრული საკომუნიკაციო მომსახურებები - 1

საანგარიშო პერიოდში 227 ავტორიზებული პირიდან 13-მა ავტორიზაცია გააუქმა.

რადიოსიხშირული სპექტრის მართვა, მონიტორინგი და კოორდინაცია

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, რადიოსიხშირული სპექტრის მართვა, მონიტორინგი და კოორდინაცია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. კომისიაში მოქმედებს შესაბამისი დეპარტამენტი, სადაც აღნიშნული მიმართულებით ყოველდღიური და სისტემატური მუშაობა მიმდინარეობს.

2010 წელს შემუშავდა პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობითაც მონიტორინგის ჯგუფს ტელე-რადიომაუწყებლობის მონიტორინგის დროს შეგროვებული გრაფიკული მონაცემების (FSP-ანალიზატორით მიღებული გრაფიკული გამოსახულების) მონიტორინგის მონაცემთა ბაზაში შენახვისა და ინტეგრაციის საშუალება ეძლევა. აღნიშნული ინფორმაცია აუცილებელია თავისუფალი სამაუწყებლო სიხშირეების გასანაწილებლად და მოქმედი ტელე-რადიო სამაუწყებლო ქსელების მიმართ წარმოქმნილი რადიოხელშეშლების გამომწვევი მიზეზების დასადგენად.

თავისუფალი სიხშირული რესურსის შერჩევასა და სიხშირული მინიჭების გადაწყვეტილების მომზადებისას აუცილებელია მონაცემთა ბაზისა და მონიტორინგის შედეგების მრავალჯერადი გადამოწმება. ამ მიზნით დაინერგა პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება: სრული სიხშირული რესურსის ვიზუალური ასახვა; ეროვნული სიხშირული გეგმის ინტეგრაცია FAMS¹ სისტემაში; სიხშირეების ვიზუალური და აზრობრივი გამიჯვნა; თავისუფალი და დაკავებული ზოლების ანალიზი; არსებული მონიტორინგის მონაცემების ინტეგრაცია თითოეული

¹ Frequency Allocation and Monitoring System - სიხშირეთა განაწილებისა და მონიტორინგის სისტემა

სიხშირის ვიზუალიზაციის დროს; ორგანიზაციებისა და ლიცენზიების მონაცემთა ინტეგრაცია FAMS სისტემაში.

მონაცემთა ბაზის ახალი სტრუქტურის საშუალებით შესაძლებელია დეტალური ინფორმაციის შენახვა და დამუშავება - სადგურების, მათზე განთავსებული მიმღებ-გადამცემების, პორტატული რაციებისა და მობილური საიტების შესახებ. ლიცენზიის ყველა მფლობელს თავად შეუძლია შეიტანოს ცვლილებები და დაზუსტებები მის მიერ გამოყენებულ აპარატურულ/ტექნიკურ ბაზაში.

დაინერგა კავშირი ბაზასა და ციფრულ რუქებს შორის, რომლითაც ხორციელდება ყველა სატელევიზიო არხის დატანა საქართველოს რუქებზე, რაც სამომავლო დაგეგმარების პროცესში თავისუფალი რესურსებით მანიპულირებისა და არხების სწორი განაწილების შესაძლებლობას იძლევა.

კომისიამ შეიძინა Kenwood-ის ტიპის რადიოტექნიკური მიმღებ-გადამცემი მოწყობილობები, რომელთა გამოყენებითაც ბევრად გაადვილდა მიწისზედა მოძრავი რადიოკავშირის მონიტორინგისას სასარგებლო და ხელშემშლელი რადიოსიგნალების გამომსხივებელი რადიოტექნიკური მოწყობილობების მახასიათებელი ტექნიკური პარამეტრების დაფიქსირება; აღნიშნული პარამეტრების ცოდნა ბევრად აადვილებს რადიოხელშემშლელი წყაროს გამოვლენას.

დეპარტამენტი მუდმივად და სისტემატურად თანამშრომლობს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებასთან (ITU). საერთაშორისო კავშირის ახალი ელექტრონული კომპიუტერული პროგრამის - WISFAT-ის - გამოყენებით, განხორციელდა სიხშირეთა კოორდინაციით გათვალისწინებული სამუშაოები YAHSAT თანამგზავრული ქსელისთვის და საზღვაო-სანაოსნო სამსახურისთვის. მუდმივად მიმდინარეობდა მეზობელი ქვეყნების ტელე-რადიოსამაუწყებლო სადგურების კოორდინაცია.

დეპარტამენტი მონაწილეობას ღებულობს საქართველოსა და საერთაშორისო დონეზე ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შესახებ შეხვედრებსა და სემინარებში.

გარდა ამისა, საანგარიშო წლის განმავლობაში, დეპარტამენტში განხორციელდა:

- HF, VHF, UHF და SHF დიაპაზონის შესაბამისი მაღალსიხშირული მოწყობილობების შემოტანაზე წარმოდგენილი მასალების განხილვა;
- საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი ხომალდებისთვის სახმობების და ამოცნობის ნიშნების მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა,
- სამოყვარულო რადიოსადგურებით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიომოყვარულებისთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისათვის სახმობების მინიჭება;
- სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებისათვის რადიოსიხშირული ზოლების სიხშირული საზღვრების დადგენა;

- ფიქსირებული სიხშირეების, სიხშირული წყვილებისა და სიხშირული ზოლების შერჩევა, დაგეგმვა, შეფასება;
- კომპანიებისთვის რადიოსარელო სიხშირეებისა და სიხშირული წყვილების შერჩევა;
- სიხშირული ზოლების დაგეგმვა;
- ელექტრომაგნიტურად ურთიერთგავლენის ქვეშ მყოფი გამომსახველების შემთხვევაში, საერთო ზონებში დაცვითი თანაფარდობის ანალიზი და ტექნიკურად მისაღები დონეების შენარჩუნების პირობების დადგენა.
- სიხშირული ზოლების შერჩევა რადიოსარელო ხაზების, მონაცემთა გადაცემის ლოკალური, აგრეთვე - წერტილი-მრავალწერტილი (PMP) არქიტექტურის ქსელების ფუნქციონირებისთვის.

მსოფლიო მასშტაბით, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორი, განსაკუთრებით - მობილური სექტორი, ძალზე სწრაფად ვითარდება, რაც გამოწვეულია მომსახურებათა სახეების, ტექნოლოგიებისა და კომერციული ურთიერთობების კონვერგენციით, მზარდი კონკურენციით, ტექნოლოგიური ცვლილებებითა და ინოვაციურ მომსახურებათა დანერგვით.

მობილურ ფართოზოლოვან მომსახურებაზე მსოფლიო მასშტაბით გაჩენილმა ფართო მოთხოვნამ გამოიწვია ახალი, მომავალი თაობის (4G) მაღალსიხშირიანი მონაცემთა გადაცემის შესაძლებლობის მქონე მობილური ტექნოლოგიების განვითარება (LTE, Mobile WIMAX), რის შედეგადაც შეიცვალა მსოფლიო და მათ შორის, ევროკავშირის მიდგომა აქამდე არსებული სიხშირეების განაწილების მიმართ.

ტექნოლოგიურ ინოვაციებთან და მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებთან ევროპული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2009 წლის ოქტომბერში ევროპარლამენტმა გამოსცა დირექტივა (2009/114/EC), რომლითაც ცვლილებები შევიდა 900 მჰც სიხშირულ ზოლთან დაკავშირებით არსებულ GSM დირექტივაში, (რომლითაც ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც ხელმძღვანელობს), ხოლო ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება (2009/766/ EC) 900 და 1800 მჰც ზოლების ჰარმონიზაციის შესახებ. არსებული დოკუმენტები ითვალისწინებს მოცემული (900/1800 მჰც) სიხშირული დიაპაზონების ლიბერალიზაციას და UMTS ტექნოლოგიასთან ერთად ყველა იმ ინოვაციური მობილური ტექნოლოგიის დანერგვის შესაძლებლობასა და ხელშეწყობას, რომელთაც ხელშეშლების გარეშე ტექნიკურად თანაარსებობა შეუძლიათ არსებულ GSM ტექნოლოგიასთან,

ამჟამად უკვე სტანდარტიზებულია UMTS ტექნოლოგიის 900 და 1800 მჰც ზოლებში დანერგვა ამავე დიაპაზონში არსებულ GSM ქსელებთან თანაარსებობის გათვალისწინებით; ასევე, ევროკომისიის მოთხოვნით, ევროპის საფოსტო და სატელეკომუნიკაციო ადმინისტრაციების კონფერენციის (CEPT) შესაბამის სტრუქტურაში მიმდინარეობს

მუშაობა LTE და Mobile WIMAX ტექნოლოგიების 900 და 1800 მჰც სიხშირულ ზოლებში დანერგვის სტანდარტიზაციაზე, რომლის შედეგებიც სულ მალე, კერძოდ - 2011 წლის პირველ ნახევარში - იქნება ხელმისაწვდომი.


ევროკავშირის დირექტივა (2009/114/EC), ასევე, ითვალისწინებს მეორე, ძალზე მნიშვნელოვან საკითხს; კერძოდ, იმ ფაქტს, რომ 900 მჰც სიხშირული ზოლის ლიბერალიზაციამ, მისი ტექნოლოგიურად მიმზიდველი მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლოა, გამოიწვიოს მობილურ ბაზარზე კონკურენციის ხელყოფა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ახალი (2009/114/EC) დირექტივის თანახმად შესაბამისი ქვეყნები ვალდებული არიან, განახორციელონ 2G ტექნოლოგიებისათვის განკუთვნილი სიხშირული ზოლების ლიბერალიზაცია და დასაბუთებულად აღმოფხვრან 900მ მჰც დიაპაზონში სიხშირეების უკვე არსებული განაწილების სისტემით გამოწვეული კონკურენციის განვითარების ხელშემშლელი და შემაფერხებელი ფაქტორები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.


2010 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სიხშირეების განაწილების ევროპულ და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანისა და ინოვაციური ფართოზოლოვანი მობილური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, დაიწყო სიხშირეების ლიბერალიზაციის საკითხზე მუშაობა.

ზემოხსენებული სამუშაოს სრულფასოვნად და მაღალპროფესიულ დონეზე განხორციელებისთვის, გამოცხადდა საერთაშორისო ელექტრონული ტენდერი - 900 მჰც სიხშირული დიაპაზონის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ტექნიკურ -ეკონომიკური კვლევის ჩატარებაზე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 20 აგვისტოს №5 დადგენილებით ("რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ"), ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მიზნით, ციფრული სიგნალის ტესტირების განსახორციელებლად, საქართველოს მთელი ტერიტორიისთვის გამოიყო გარკვეული სიხშირული რესურსი. აღნიშნული რესურსი უნდა განაწილდეს ITU-ს მიერ განსაზღვრულ ციფრულ სამაუწყებლო ზონებად დაყოფის პრინციპების შესაბამისად - 10 ციფრულ სამაუწყებლო ზონად. თითოეული ზონისთვის გამოიყო სამაუწყებლო ციფრული არხები, რომელთა სრულმა რაოდენობამ შეადგინა 175 (იხ. რუქები).



არხების ნომრები, რომლებიც გამოვიყო IITU-მ რადიოკავშირის რეგიონალურ კონფერენციაზე (RRC-06)



გეოგრაფიული რუკა, სადაც გამოსახულია ანალოგური და ციფრული მაუწყებლობის ზონები

საერთაშორისო თანამშრომლობა

თანამშრომლობა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD – European Bank for Reconstruction and Development) ტექნიკური დახმარების პროექტი: ”საქართველო - სასწავლო პროგრამა კომუნიკაციების რეგულირების საკითხებზე”. პროექტზე მუშაობა დაიწყო 2010 წლის 8 მარტიდან; ჩატარდა საჭიროებების შეფასება და შემუშავდა 8-კვირიანი სწავლების პროგრამა. სასწავლო პროგრამაში მონაწილეობისათვის კომისიამ მოიწვია მომსახურების მიმწოდებლები და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. შერჩეული თემები, პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში დახმარების გასაწევად, იყო: ნუმერაცია (ნომრის პორტაბელურობის ჩათვლით), კონკურენცია მობილურ ბაზარზე (სიხშირეთა რესტრუქტურის ჩათვლით) და სილქნეტის საცალო ტარიფის რეგულაცია. ტრენინგებთან და პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობასთან ერთად, ჩატარდა დამატებითი ბრიფინგები კომისიის მიერ დასახელებულ რამდენიმე თემაზე; კერძოდ: მარეგულირებელი გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, ფართოზოლოვანის სერვისის ხარისხსა და IPTV -ზე.

უშუალოდ სწავლება დაიწყო 20 აპრილიდან. სწავლების კურსი წაიყვანეს პროექტის ფარგლებში დაქირავებულმა საკონსულტაციო კომპანიებმა: J. Kanervisto Consulting, Development Dynamics Limited Cullen International sa. განხორციელდა სწავლების 29 მოდული. კურსი წარმატებით დასრულდა 30 ივლისს, ხოლო საბოლოო ანგარიში კომისიას წარედგინა 2010 წლის 23 სექტემბერს.

კომისიისათვის რეგულირების საკითხებზე გაწეული დახმარების, ლექციების დროს გამართული დისკუსიებისა და კომისიის ექსპერტებთან საუბრების საფუძველზე, გამოიკვეთა რამდენიმე თემა, რომელიც მოითხოვს კომისიის მიერ უფრო დეტალურ მუშაობას EBRD-ის შესაძლო დახმარებით. კერძოდ:

1. სპექტრის ლიბერალიზაცია, მართვა და ადმინისტრირება
2. ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა
3. პოლიტიკა და რეგულირება - ფართოზოლოვანის ბაზარი

ბანკმა განიხილა ამ სფეროებში შემდგომი ტექნიკური დახმარების გაწევის შესაძლებლობა. საკითხი დადებითად გადაწყდა და ამჟამად მიმდინარეობს საკონსულტაციო კომპანიის შესარჩევი პროცედურა.

აღმოსავლეთის პარტნიორობა¹

2009 წლის მაისში, ევროპის საბჭოს ინიციატივით, შეიქმნა აღმოსავლეთის პარტნიორობა (Eastern Partnership – EaP). აღმოსავლეთის პარტნიორობა ოფიციალურად გამოცხადდა 2009 წლის 7 მაისს, პრელაში, სამიტზე, რომელსაც ესწრებოდნენ 33 ქვეყნის წარმომადგენლები (27 - ევროგაერთიანების წევრი ქვეყნის და 6 - აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნის). აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში ექვსმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ევროკომისიის აღმოსავლეთის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებისკენ. ეს 6 ქვეყანაა: აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა.

2010 წელს ავსტრიის ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის მარეგულირებელმა ორგანომ (The Austrian Regulatory Authority for Broadcasting and Telecommunications - RTR) გამოთქვა სურვილი, პროგრამის ფარგლებში, შექმნილიყო აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლობა. ამ მიზნით, 2010 წლის 7-8 ოქტომბერს, ავსტრიის მარეგულირებელი ორგანოს ინიციატივით, ვენაში, ჩატარდა აღმოსავლეთის პარტნიორობის პირველი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც ევროკომისიის წარმომადგენლები, ასევე - ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოებისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის 6 ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლები. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლებმაც. შეხვედრას უმასპინძლა ავსტრიის მარეგულირებელმა ორგანომ, ევროკომისიასთან ერთობლივად.

შეხვედრის პირველი დღე დაეთმო ევროკომისიისა და ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების გამოსვლებს. ამ დღეს განიხილეს საკითხები: მარეგულირებელი გარემოს ძირითადი ასპექტები; ბერეკის (Body of European Regulators for Electronic Communications – BEREC) როლი აღნიშნულ თანამშრომლობასთან მიმართებით; ლიბერალიზაციის სტრატეგიული ასპექტები; ბაზრის ანალიზი - როგორ უნდა განისაზღვროს ბაზრები და გამოვლინდეს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება; შემდგომი თაობის წვდომა და ინფრასტრუქტურა; შეზღუდული რესურსები - რადიოსიხშირული სპექტრი; უნივერსალური მომსახურება და ა.შ.

შეხვედრის მეორე დღეს აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებმა წარმოადგინეს თავისი ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს რეგულირების ძირითადი საკითხები.

შეხვედრის ბოლოს მომზადდა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების ტექნიკური დახმარების პროგრამა და გადაწყდა, რომ მომდევნო, 2011 წელს, ჩატარებულიყო აღმოსავლეთის პარტნიორობის მეორე სამუშაო შეხვედრა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მჭიდრო თანამშრომლური და მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ევროპის ქვეყნების,

¹ Eastern Partnership – EaP

კერძოდ - პოლონეთის, პორტუგალიის, ლიტვის მარეგულირებელ ორგანოებთან. პოლონეთის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელმა ორგანომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირების სფეროში ერთობლივი პროექტის განხორციელება შესთავაზა.

ინტერნაციონალიზებული დომენური სახელები, ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში

2009 წლის ოქტომბერში მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციამ (ICANN) დაამტკიცა პროგრამა, რომლის შედეგად შესაძლებელი გახდა სრულად ინტერნაციონალიზებული ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენური სახელის (ccTLD) რეგისტრაცია.

პროგრამა შედგება სამი ნაწილისგან:

1. პროგრამაში მონაწილეობისთვის მომზადება
2. დომენური სტრიქონის წარდგენა შეფასებისთვის
3. მოთხოვნის წარდგენა დომენის დელეგირების თაობაზე

პროგრამის შესაბამისად, ახალი IDN ccTLD-ის შერჩევა ხდება ქვეყნის შიგნით, ICANN-ის მიერ დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით. კერძოდ: ინტერნაციონალიზებული ქვეყნის კოდური ზედა დონის დომენი, თავისი მნიშვნელობით, უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი ქვეყნის სახელწოდებას, ქვეყნის სახელწოდების ნაწილს, ან ქვეყნის სახელწოდების ცნობად შემოკლებულ ფორმას (აკრონიმს), რომელიც აღნიშნავს ქვეყნის სახელწოდებას. ამასთანავე, ამ პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც ქვეყნის მთავრობამ და შესაბამისმა სტრუქტურებმა, ასევე - ინტერნეტ-საზოგადოებამ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, როგორც საქართველოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტში, პროგრამის გამოქვეყნებისთანავე გადადგა ნაბიჯები ჩვენს ქვეყანაში მის დასანერგად. კერძოდ:

- კომისიაში შედგა პროგრამის განხილვა-პრეზენტაცია;
- კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნდა პროგრამასთან დაკავშირებული მასალები
- ჩატარდა ელექტრონული გამოკითხვა დომენური სტრიქონის შესარჩევად.

ინტერნეტ-საზოგადოების მიერ უპირატესობა მიენიჭა .გე-ს, რომელიც საქართველოს საერთაშორისო სახელის "Georgia" შემოკლებულ ფორმას წარმოადგენს. შერჩეული სტრიქონი, პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, დაამტკიცა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ.

პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრმა (ITDC ჯგუფი); საქართველოს შერჩეული ქართულენოვანი დომენური სტრიქონი .გე, სათანადო დოკუმენტაციასთან ერთად, გაიგზავნა ICANN-ში შეფასებისთვის

პროგრამის პირველი და მეორე ეტაპი დასრულდა წარმატებით: საქართველოს მოენიჭა ინტერნაციონალიზებული დომენური სახელი (ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში - ccTLD) .გე;

ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღარ იფუნქციონირებს არსებული ლათინურენოვანი დომენური სტრიქონი .ge. ორივე სტრიქონი იფუნქციონირებს პარალელურად, მაგრამ ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად.

ამჟამად გასავლელი დარჩა პროგრამის მესამე ეტაპი - მოთხოვნის წარდგენა დომენის დელეგირების თაობაზე.

მესამე ეტაპის წარმატებით დასრულებისთანავე დაიწყება ახალი ქართულენოვანი დომენური სტრიქონის (ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში - ccTLD) რეგისტრაცია.

გაწევრიანება მარეგულირებელი ორგანოების ევროპულ პლატფორმაში

2010 წლის აპრილის ბოლოს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, EPRA¹-ს მაშინდელი პრეზიდენტის, ქალბატონ დუნია მიატოვიჩის, შემოთავაზების პასუხად, დაიწყო მზადება ზემოაღნიშნულ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად. კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის თანამშრომელი, დამკვირვებლის სტატუსით, დაესწრო ორგანიზაციის შემოდგომის სესიას. გაიმართა მოლაპარაკებები; კომისიამ წევრობის ოფიციალური მოთხოვნით მიმართა EPRA-ს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ იურგენ ბრაუტმაიერს. კომისიას EPRA-ს 2011 წლის გაზაფხულის სესიაზე ოფიციალურად მიენიჭება წევრის სტატუსი.

EPRA მაუწყებლობის დარგში ევროპული მარეგულირებელი ორგანოების უმსხვილესი გაერთიანებაა. მასში გაწევრიანებულნი არიან ისეთი მარეგულირებელი ორგანოები, როგორებიც არის: ავსტრიის, გაერთიანებული სამეფოს, გერმანიის, ფინეთის, შვეიცარიის მარეგულირებლები და ა.შ. EPRA-ში გაწევრიანება ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემს, აქტიურად, როგორც ერთი და იმავე ორგანიზაციის წევრებმა, ვითანამშრომლოთ ევროპის ამ წამყვან მარეგულირებლებთან, მივმართოთ რჩევებისთვის და გავიზიაროთ მათი გამოცდილება მაუწყებლობის რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით.

¹ European Platform of Regulatory Authorities

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან არსებულ საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში, საანგარიშო წლის განმავლობაში, შემოვიდა 108 განცხადება, რომელთაგან:

1. 41 წერილობითი და ზეპირი განცხადება ეხებოდა უხარისხო სატელეფონო და ინტერნეტით მომსახურებას;
2. 23 წერილობითი და ზეპირი განცხადება - ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისთვის საფასურის დარიცხვის სისწორესთან დაკავშირებით;
3. 10 წერილობითი და ზეპირი განცხადება ეხებოდა სატელეფონო და ინტერნეტ-მომსახურების მიღების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების დაყოვნებას ან/და დაუკმაყოფილებლობის საკითხებს;
4. 12 განცხადება - მომხმარებელთა არასათანადო ინფორმირების შესახებ;
5. 3 განცხადება ეხებოდა მომხმარებლებისთვის დაწესებული შეღავათების სიმცირესა და მოქმედი შეღავათებით სარგებლობის შეზღუდვას.
6. 7 განცხადება წარდგენილი იყო მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით
7. დანარჩენი 15 განცხადება ეხებოდა სხვადასხვა ნაკლებ აქტუალურ საკითხებს, მაგ: აბონენტების კონსულტირებას მათი უფლებების შესახებ, შუამდგომლობას კომპანიასთან აბონენტის დავალიანების გადანაწილების თაობაზე და სხვა.

უხარისხო სატელეფონო და ინტერნეტ-მომსახურების შესახებ საჩივრები, მნიშვნელოვანწილად, მოიცავს დაზიანების გამო სატელეფონო და ინტერნეტ-მომსახურების შეწყვეტის, ან წყვეტით მიწოდების შემთხვევებს; თუმცა ასეთი შემთხვევები, უკანასკნელ პერიოდში, მკვეთრად შემცირდა მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ ძველი ავტომატური სატელეფონო სადგურების ციფრული სადგურებით შეცვლისა და ასევე, ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მეურნეობის განვითარების შედეგად.

2010 წელს კვლავ აქტუალური გახდა მომხმარებლებსა და მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს შორის დავა მომსახურებაზე დარიცხული დავალიანების სისწორეზე. მთელ რიგ შემთხვევებში, საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიმართვის საფუძველზე, არაერთი კომპანიის აბონენტს მოეხსნა დარიცხული სადავო დავალიანება.

წლების მანძილზე პრობლემად რჩება სატელეფონო და ინტერნეტის ქსელის გაფართოება. მომსახურების მიღების შესახებ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა, ძირითადად, განპირობებულია იმით, რომ კომპანიებს არა აქვთ თავისუფალი სახაზო-საკაბელო წყვილები და ტექნიკური შესაძლებლობები; ასევე - ამა თუ იმ გეოგრაფიულ ზონაში მომსახურების მიწოდების მიმართ არის დაბალი ეკონომიკური ინტერესი. აღსანიშნავია, რომ მოცემული პრობლემა, ბოლო წლებში, რაიონებშიც აქტუალური გახდა.

მომსახურების პირობების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის, ასევე - ინფორმაციის არასრული სახით ან/და დაგვიანებით მიწოდების, ან თუნდაც მცდარი ინფორმაციის

მიწოდების გამო, ხშირია ბოლო მომხმარებლების საჩივრები. მომხმარებელთა პრეტენზიები აბონენტების ინფორმირების დაბალი დონითაც არის განპირობებული; ამის მიზეზია მათთან ისეთი ხელშეკრულებების გაფორმება, რომლებიც მომსახურების ძალზე ზოგად და რთულად აღსაქმელ პირობებს შეიცავს. რიგ შემთხვევებში, მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებები, არ მოიცავს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონითა და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის“ შესახებ რეგლამენტით დადგენილ სავალდებულო ყველა პირობას. ხელშეკრულებებში განსაზღვრული პირობები პირდაპირ ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ხოლო მომსახურების მიმწოდებელი ოპერატორები ხშირად თავს არიდებენ საკუთარი ვალდებულებების სრულ დეტალიზაციას (ტარიფები, მომსახურების ხარისხობრივი პარამეტრები და დაუცველობის შემთხვევაში - პასუხისმგებლობის მექანიზმები).

აღნიშნული ტიპის დარღვევების გამოვლენის შემდეგ ხორციელდება არსებული ტიპური ხელშეკრულებების ექსპერტიზა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან არსებულ საზოგადოებრივი დამცველის სამსახურისა და კომისიის აპარატის შესაბამისი თანამშრომლების მიერ. მათ მიერ წარდგენილი შენიშვნები და წინადადებები აისახება შესაბამის სამართლებრივ აქტებში. საცალო ბაზარზე არსებული პრობლემური საკითხების რეგულირების მიზნით, არსებული პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, კომისიის მიერ ხორციელდება საკომუნიკაციო სფეროს მომხმარებლების უფლებების მარეგულირებელი ნორმატიული აქტის – ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის სრულყოფა; ამ მიზნით, 2010 წელს, განხორციელდა ორი მნიშვნელოვანი ცვლილება (2010 წლის 13 აგვისტოს N4 და 2010 წლის 3 დეკემბერის N7 დადგენილებები), რომლითაც დარეგულირდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიც არის შიდა და სხვა ოპერატორის ქსელში პორტირება, წამობრივი დამრგვალება, როუმინგული მომსახურების თანხების ნაშთების დაბრუნების ვადები და წესი, ზეპირი გარიგების საფუძველზე მომსახურებისას მომსახურების პირობების შესახებ ინფორმაციის ეფექტური ხელმისაწვდომობა, მომსახურების შეზღუდვის ვადები, მიუღებელ მომსახურებაზე ანგარიშსწორების აკრძალვა და სხვა საკითხები.

მომხმარებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სატელეფონო მომსახურებებზე შეღავათების არარსებობის, დაწესებული შეღავათების სიმცირის ან შეღავათების თაობაზე მომხმარებლების არაინფორმირებულობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიებს უფლება აქვთ, თავადაც დააწესონ შეღავათები, უმრავლესი მათგანი თავს იკავებს ამ ქმედებისგან. სს „სილქნეტის“ მიერ დაწესებული შეღავათები აღნიშნულ ვითარებას, არსებითად, არ ცვლის.

სამსახურში, ასევე, შემოვიდა განცხადებები მაუწყებლების მიერ “მაუწყებლობის შესახებ“, „მაგნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევების თაობაზე. სამსახურის ჩარევის შედეგად რიგი განცხადებები

დაკმაყოფილებული იქნა, ზოგი კი, სამართლებრივი უსაფუძვლობის გამო, არ დაკმაყოფილდა.

ტელე-რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრის კვლევა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე ლიცენზიის მაძიებლებისათვის განსაზღვრავს ტელე-რადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს.

2008 წლის 23 ოქტომბერს, კომისიასა და შპს „ბიზნეს კონსალტინგის ჯგუფი - კვლევას" (შემდგომში შპს "ბი სი ჯი კვლევას") შორის გაფორმდა ხელშეკრულება „ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ". საზოგადოებრივი აზრის კვლევა მიმდინარეობდა 2008 წლის 23 ოქტომბრიდან 2010 წლის 4 ივნისამდე პერიოდში, ორ ეტაპად, როგორც რაოდენობრივად, ისე - თვისობრივად. პირველი ეტაპის შედეგები კომისიაში შპს „ბი სი ჯი კვლევამ" წარმოადგინა 2009 წლის 23 აპრილს. პირველი ეტაპის მონაცემები ეყრდნობოდა ფიფლ-მეტრებით გაზომილ ყურებადობის მაჩვენებლებსა და 6500 რესპოდენტის ინტერვიუს მონაცემებს.

2010 წლის 4 ივნისს შპს „ბი სი ჯი კვლევას" მიერ კომისიაში წარმოდგენილ იქნა საზოგადოებრივი აზრის კვლევის მე-2 ეტაპის შედეგები, რომელიც ითვალისწინებდა ფიფლ-მეტრებით გაზომილ ყურებადობის მაჩვენებლებსა და დამატებით ჩატარებულ რაოდენობრივი კვლევის მონაცემებს (3000 ინტერვიუ), ასევე, სათემო მაუწყებლობასთან დაკავშირებით, ფოკუს-ჯგუფებში ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის თვისობრივი კვლევის შედეგებს.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, კერძოდ, 23 სამაუწყებლო ზონაში, გარდა რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული 24-ე სამაუწყებლო (სოხუმი) და 25-ე სამაუწყებლო (ჩხალთა) ზონებისა. გამოსაკითხი რესპოდენტების შერჩევისას გამოყენებულ იქნა სააღწერო უბნების მონაცემთა ბაზა, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერიდან. შპს „ბი სი ჯი კვლევას" მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ანგარიშის შესაბამისად, შერჩევისათვის გამოყენებულ იქნა სამსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატეგიკაციით. სტრატეგიკაციის პირველ დონეს წარმოადგენდა სამაუწყებლო ზონა. შერჩევის მთელი მოცულობა გადანაწილდა 23 სამაუწყებლო ზონაზე, მათში სამიზნე მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად.

სტრატეგიკაციის მეორე დონეს (ქვესტრატა/substratum) წარმოადგენდა ზონის შიგნით არსებული ერთი და იგივე ტიპის დასახლებული პუნქტი (ქალაქი/სოფელი). ყოველი სტრატა დაიყო ორ ქვესტრატად. გარდა ამისა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილიყო ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების შერჩევაში მოხვედრა შესაბამისი პროპორციით, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მხარეებში, დამატებით ქვესტრატებად გამოიყო ის დასახლებული პუნქტები, რომლებიც ძირითადად ეთნიკური უმცირესობებითაა დასახლებული, ხოლო თითოეული სამაუწყებლო ზონისთვის დადგენილი შერჩევის მოცულობა გადანაწილდა ქალაქისა და სოფლის ქვესტრატებში მათში სამიზნე მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად. შერჩევის მეორად ერთეულს (Secondary Sampling Unit - SSU) წარმოადგენდა შინამეურნეობა. უკვე შერჩეულ პირველად ერთეულებში, შერჩევის მეორადი ერთეულების შერჩევა განხორციელდა „შემთხვევითი ხეტიალის“ მეთოდით. ყოველ ინტერვიუერს მიეცა „შემთხვევითი ხეტიალის“ დეტალური ინსტრუქცია. საბოლოო შერჩევის ერთეულს (Finally Sampling Unit-FSU) წარმოადგენდა რესპონდენტი. რესპონდენტის შერჩევა შინამეურნეობაში განხორციელდა ბოლო დაბადების დღის პრინციპის გამოყენებით.

2010 წლის 15 სექტემბერს კომისიასა და შპს „ბი სი ჯი კვლევას“ შორის გაფორმდა მაუწყებლობის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის 2008-2010 წლის კონსოლიდირებული ანგარიშის მიღება-ჩაბარების აქტი. შპს „ბი სი ჯი კვლევის“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს 2011 წელს პრიორიტეტების დადგენის საფუძველს, რის შემდეგაც განახლდება ლიცენზიების გაცემა.

თავი III. ბაზრის მიმოხილვა

2010 წელს ელექტრონულ საკომუნიკაციო სფეროში ავტორიზებულ პირთა შემოსავალმა საცალო და საბითუმო მომსახურების სახეებიდან 1,055 მლნ ლარი¹, ხოლო მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელთა შემოსავალმა 76 მლნ ლარი შეადგინა (დღგ-ს და აქციზის გარეშე).

მობილური კომუნიკაციების ბაზრის მიმოხილვა აბონენტები

საქართველოში მობილური აბონენტების² რაოდენობამ 2010 წლის ბოლოს 3,980,000 შეადგინა. მეოთხე კვარტალში აბონენტთა რაოდენობა, პირველ კვარტალთან შედარებით, 8.9%-ით (325,00 აბონენტით) გაიზარდა. მობილური აბონენტების სიმკვრივემ³ 89.7% შეადგინა.

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
მაგთიკომი	1,578,000	1,618,000	1,690,000	1,604,000
ჯეოსელი	1,604,000	1,611,000	1,627,000	1,765,000
მობიტელი	473,000	560,000	587,000	611,000
	<u>3,655,000</u>	<u>3,789,000</u>	<u>3,904,000</u>	<u>3,980,000</u>

აბონენტების რაოდენობით ჯეოსელი ლიდერობს (44.3%).

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
მაგთიკომი	43.2%	42.7%	43.3%	40.3%
ჯეოსელი	43.9%	42.5%	41.7%	44.3%
მობიტელი	12.9%	14.8%	15.0%	15.4%
	<u>100.0%</u>	<u>100.0%</u>	<u>100.0%</u>	<u>100.0%</u>

2010 წელს მნიშვნელოვანი ძვრა მოხდა კორპორატიულ სეგმენტზე - მეოთხე კვარტალში, პირველ კვარტალთან შედარებით, კორპორატიული აბონენტების რაოდენობა 25.6%-ით გაიზარდა. აბონენტების რაოდენობის თვალსაზრისით ამ სეგმენტზეც ჯეოსელი ლიდერობს.

¹ მესამე თავში მოყვანილი მაჩვენებლები, თუ სხვა წყარო მითითებული არაა, ეფუძნება კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზისთვის ავტორიზებული და ლიცენზირებული პირების მიერ წარმოდგენილი ფორმების მონაცემებს

² აბონენტად განიხილება SIM ბარათი, რომლის გამოყენებითაც კვარტალის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა ან მიღებულ იქნა ხმოვანი ზარი, SMS, MMS, გაწეულ იქნა ინტერნეტით ან სხვა დამატებითი სერვისით მომსახურება, ან დაერიცხა სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით და სატესტო ბარათების ჩათვლით).

³ აბონენტების რაოდენობა გაყოფილი ქვეყნის მოსახლეობაზე.

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
მაგთიკომი	128,000	136,000	137,000	137,000
ჯეოსელი	133,000	177,000	174,000	180,000
მობიტელი	12,000	17,000	19,000	26,000
	273,000	330,000	330,000	343,000

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
მაგთიკომი	46.9%	41.2%	41.5%	39.9%
ჯეოსელი	48.7%	53.6%	52.7%	52.5%
მობიტელი	4.4%	5.2%	5.8%	7.6%
	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

შემოსავალი¹


საცალო მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2010 წელს 532 მლნ. ლარი შეადგინა.

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ	2010
მაგთიკომი	56,987,000	58,327,000	61,518,000	50,855,000	227,687,000
ჯეოსელი	60,499,000	63,661,000	64,786,000	56,340,000	245,286,000
მობიტელი	13,248,000	14,812,000	16,818,000	13,971,000	58,849,000
	130,734,000	136,800,000	143,122,000	121,166,000	531,822,000


	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ	2010
მაგთიკომი	43.6%	42.6%	43.0%	42.0%	42.8%
ჯეოსელი	46.3%	46.5%	45.3%	46.5%	46.1%
მობიტელი	10.1%	10.8%	11.8%	11.5%	11.1%
	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

ერთი აბონენტისგან მიღებული საშუალო შემოსავალი (ARPU – Average Revenue Per User), 2010 წლის მეოთხე კვარტალში, შესამჩნევად შემცირდა და საშუალოდ 10.15 ლარი შეადგინა, რის განმაპირობებელი ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც 2010 წლის 1 სექტემბრიდან აქციზის შემოღება იყო.

¹ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) ინდიკატორების სტანდარტის შესაბამისად, მობილური ქსელებიდან მიღებულ შემოსავლად (Revenue from mobile networks, ITU Code 741) განვიხილავთ საცალო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს და არ განვიხილავთ საბითუმო შემოსავალს



2010 წლის მეოთხე კვარტალში მაგთიკომის და ჯეოსელის ARPU თითქმის თანაბარი იყო, ბილანის კი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა კონკურენტებს.



გამავალი ტრაფიკი


2010 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მობილური აბონენტების გამავალი ტრაფიკი; კერძოდ - პირველ კვარტალთან შედარებით, მეოთხე კვარტალში 38%-ით გაიზარდა. ზრდა, უმთავრესად, ჯეოსელის ხარჯზე მოხდა, რომლის ტრაფიკმაც 63%-ით მოიმატა (მაგთიკომი - 19%, მობიტელი - 22%).

	I კვარტი	II კვარტი	III კვარტი	IV კვარტი	2010
მაგთიკომი	286,755,000	332,181,000	378,713,000	342,576,000	1,340,225,000
ჯეოსელი	286,645,000	322,683,000	379,939,000	468,058,000	1,457,325,000
მობიტელი	100,243,000	114,106,000	131,497,000	128,938,000	474,784,000
	673,643,000	768,970,000	890,149,000	939,572,000	3,272,334,000

	I კვარტი	II კვარტი	III კვარტი	IV კვარტი	2010
მაგთიკომი	42.6%	43.2%	42.5%	36.5%	41.0%
ჯეოსელი	42.6%	42.0%	42.7%	49.8%	44.5%

მობიტელი	14.9%	14.8%	14.8%	13.7%	14.5%
	<u>100.0%</u>	<u>100.0%</u>	<u>100.0%</u>	<u>100.0%</u>	<u>100.0%</u>

მნიშვნელოვნად გაიზარდა ერთი აბონენტის მიერ ნასაუბრები (გამავალი) წუთების რაოდენობა (MOU)¹ - 62 წთ.-დან 79-წთ.-მდე. 2010 წლის ბოლოს ყველაზე მეტს, საშუალოდ, ჯეოსელის აბონენტი საუბრობდა, კერძოდ - 88 წთ.-ს, მაგთიკომი 71 წთ.-ს, ბილაინი 70 წთ.-ს.




ქსელის შიდა და ქსელის გარეთა წუთის ფასი

2010 წელს მნიშვნელოვანი სხვაობა იყო მობილური ოპერატორების ქსელის შიდა² და ქსელი გარეთა³ წუთის ფასებს შორის. აღსანიშნავია, რომ 1997 წლიდან (როდესაც წუთის ფასი 28.8 თეთრი იყო) 2010 წლამდე ქსელის გარეთა წუთის საშუალო ფასი მხოლოდ 3.1 თეთრით შემცირდა, მარტო 2010 წლის მანძილზე კი იგი 3.5 თეთრით შემცირდა.

¹ MOU – Minutes of Use - იგულისხმება მხოლოდ გამავალი წუთები.

² ქსელის შიდა არის ზარი, რომელიც ოპერატორის საკუთარ ორ აბონენტს შორის ხორციელდება (მაგ. მაგთი - მაგთი, მაგთი-ბანი,...)


³ ქსელის გარეთა არის ზარი, რომელიც ორი გასხვავებული ოპერატორის აბონენტებს შორის ხორციელდება (მაგ. ლაი-ლაი - ბილაინი, ლაი-ლაი - სილქნეტი,...)




მობილურ ბაზარზე 2010 წელს არსებული სატარიფო შეთავაზებები ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო. ამდენად, მიზანშეწონილია ამ ორი ბაზრის დამოუკიდებლად განხილვა.

ფიზიკური პირების სეგმენტი

ფიზიკური პირების სეგმენტზე ქსელის გარეთა წუთის ფასი 3.9 თეთრით (15%-ით), ქსელის შიდა წუთის ფასი 4.5 თეთრით (35%-ით) შემცირდა.





საშუალო ტარიფები მნიშვნელოვნად განსხვავებულია არამარტო ოპერატორების, არამედ ოპერატორების ბრენდების მიხედვითაც (მეოთხე კვარტალის მონაცემები):



იურიდიული პირების სეგმენტი

იურიდიულ პირების სეგმენტი ქსელის შიდა და ქსელის გარეთა ზარებს შორის დიდი დისბალანსით გამოირჩევა - მეოთხე კვარტალში ქსელის გარეთა წუთის ფასი 8-ჯერ ძვირი იყო ქსელის შიდა წუთის ფასზე.



მობილური აბონენტების მიერ ინტერნეტის მოხმარება

2010 წლის მეოთხე კვარტალში ინტერნეტით 789,000 აბონენტმა ისარგებლა. ყველაზე დიდი საბაზრო წილი მაგთიკომს ჰქონდა -45%.

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
მაგთიკომი	371,000	369,000	351,000	358,000
ჯეოსელი	227,000	220,000	237,000	261,000
მობიტელი	129,000	212,000	147,000	170,000
	727,000	801,000	735,000	789,000

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
მაგთიკომი	51%	46%	48%	45%
ჯეოსელი	31%	27%	32%	33%
მობიტელი	18%	26%	20%	22%

მობილური ინტერნეტ-მომსახურებით მიღებულმა შემოსავალმა 2010 წელს 15 მლნ ლარი შეადგინა. სეგმენტზე შემოსავლის თვალსაზრისითაც მაგთიკომი ლიდერობდა.

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ	2010
მაგთიკომი	2,249,000	2,303,000	2,259,000	2,121,000	8,932,000
ჯეოსელი	1,216,000	1,224,000	1,379,000	1,295,000	5,114,000
მობიტელი	214,000	237,000	291,000	273,000	1,015,000
	3,679,000	3,764,000	3,929,000	3,689,000	15,061,000

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ	2010
მაგთიკომი	61%	61%	57%	57%	59%
ჯეოსელი	33%	33%	35%	35%	34%
მობიტელი	6%	6%	7%	7%	7%
	100%	100%	100%	100%	100%

ფიქსირებული საკომუნიკაციო ბაზრის მიმოხილვა

აბონენტები

საქართველოში ფიქსირებული ქსელის აბონენტების¹ რაოდენობამ, 2010 წლის ბოლო კვარტალში, 1,105,883 შეადგინა. მეოთხე კვარტალში აბონენტთა რაოდენობა, პირველ კვარტალთან შედარებით, 28%-ით (239,491 აბონენტი) გაიზარდა.

ფიქსირებული ქსელის აბონენტების რაოდენობის ზრდა, ძირითადად, უსადენო ტექნოლოგიის ხარჯზე განხორციელდა. მათი რაოდენობა 286 ათასიდან 517 ათასამდე გაიზარდა (81%). რაც შეეხება სადენიან ტელეფონებს, მათი რაოდენობა 580 ათასიდან 589 ათასამდე გაიზარდა (2%).

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
სადენიანი	580,299	587,984	587,331	589,144
უსადენო	286,093	351,930	411,857	516,739
	866,392	939,914	999,188	1,105,883
სადენიანი	66.98%	62.56%	58.78%	53.27%
უსადენო	33.02%	37.44%	41.22%	46.73%

ფიქსირებული სადენიანი ქსელის აბონენტების რაოდენობით სილქნეტი ლიდერობს (61,8%).

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
სილქნეტი	357,909	364,572	363,514	364,296
ახალი ქსელები	113,725	114,339	114,841	115,570
ახტელი	65,853	66,284	66,466	66,832
საქართველოს ცენტრ. კავშირ. კორპორაცია	23,763	23,833	23,975	24,151
დანარჩენი	19,049	18,956	18,535	18,295
სულ	580,299	587,984	587,331	589,144

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
სილქნეტი	61.68%	62.00%	61.89%	61.83%
ახალი ქსელები	19.60%	19.45%	19.55%	19.62%
ახტელი	11.35%	11.27%	11.32%	11.34%
საქართველოს ცენტრ. კავშირ. კორპორაცია	4.09%	4.05%	4.08%	4.10%
დანარჩენი	3.28%	3.22%	3.16%	3.11%
	100%	100%	100%	100%

სადენიანი ქსელით, ძირითადად, მოცულია საქართველოს ხუთი დიდი ქალაქი: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი და ფოთი, რომლებზეც სადენიანი ქსელის აბონენტების 82% მოდის.

¹ სატელეფონო ნომრების რაოდენობა, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება გაეწია.

დანარჩენ საქართველოში სიმკვრივე ძალიან მცირეა და შინამეურნეობების 12%-ს შეადგენს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ კერძო კომპანიებისთვის ასეთ რეგიონებში ქსელის მშენებლობა არარენტაბელურია. ამ მიზეზით არის განპირობებული ბაზარზე უსადენო ტექნოლოგიების წილის ზრდა.

	თბილისი	ქუთაისი	რუსთავი	ბათუმი	ფოთი	დანარჩენი
აბონენტები (ფიზიკური პირები)	318,126	49,673	29,644	24,115	9,070	95,233
შინამეურნეობები ¹	313,857	54,807	33,671	33,425	13,228	794,170
სიმკვრივე	101%	91%	88%	72%	69%	12%

სულ საქართველოში სადენიანი ქსელის სიმკვრივე 42,3%-ია². ოპერატორებისა და რეგიონების ჭრილში აბონენტების საერთო რაოდენობა მოცემულია ცხრილში:

	თბილისი	ქუთაისი	რუსთავი	ბათუმი	ფოთი	დანარჩენი რეგიონები	სულ
სილქნეტი	208,794	13,886	65,95	26,924	9,375	99,722	364,296
ახალი ქსელები	74,904	38,556			678	1,432	115,570
ახტელი	66,832						66,832
საქართველოს ცენტრ. კავშირ. კორპორაცია			24,151				24,151
ივერია ქსელი						3,037	3,037
მაგთიკომი	4,646						4,646
დანარჩენი	9,743		759			110	10,612
	364,919	52,442	31,505	26,924	10,053	103,301	589,144

უსადენო ფიქსირებული ქსელის ლიდერია კომპანია მაგთიკომი. მისი წილი ბაზრის 87%-ია. 2010 წელს ფიქსირებული აბონენტების მნიშვნელოვანი ზრდა სწორედ ამ კომპანიის ხარჯზე მოხდა.

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
მაგთიკომი	227,798	291,261	350,612	450,201
სილქნეტი	55,267	57,932	58,821	64,280
ქართული სატელეფონო კომპანია	3,028	2,737	2,424	2,258
სულ	286,093	351,930	411,857	516,739

2010 წლის ბოლოს ფიქსირებული კორპორატიული (სადენიანი და უსადენო) აბონენტების რაოდენობამ საერთო რაოდენობის 7% შეადგინა. სილქნეტი, კორპორატიულ სეგმენტზე, გამოკვეთილი ლიდერია. მას ბაზრის 61% უჭირავს.

¹ 2002 წლის აღწერის მონაცემების შესაბამისად

² აბონენტების, რომლებიც ფიზიკური პირები არიან, შეფარდება შინამეურნეობების რაოდენობაზე

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
სილქნეტი	44,637	49,464	47,614	47,240
მაგთიკომი	10,991	11,566	12,088	12,267
ახალი ქსელები	6,852	6,914	6,984	6,937
ახტელი	3,950	3,895	3,909	3,880
დანარჩენი	7,189	6,980	6,621	6,746
	73,619	78,819	77,216	77,070

შემოსავალი ¹

2010 წლის განმავლობაში საცალო მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 121.8 მლნ. ლარი შეადგინა; აქედან: ფიქსირებული სადენიანი ქსელის შემოსავალმა - 84,5 მლნ. ლარი, ხოლო უსადენო ქსელის შემოსავალმა - 37,3 მლნ. ლარი.

შემოსავლების თვალსაზრისითაც, მეოთხე კვარტლის მონაცემებით, სადენიანი ქსელში სილქნეტი (66%) ფლობს ყველაზე დიდ საბაზრო წილს, ხოლო მაგთიკომი უსადენო ქსელში ლიდერობს (77,5%).

სადენიანი ქსელის საცალო შემოსავლები:

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ	ჯამი
სილქნეტი	2,932,000 ^[2]	13,957,000	13,487,000	13,209,000	43,585,000
გაერთიანებული ტელეკომი	10,729,281	-	-	-	10,729,281
ახალი ქსელები	3,678,000	3,672,000	3,534,000	3,487,000	14,371,000
ახტელი	2,010,000	2,007,000	1,959,000	1,928,000	7,904,000
ვანექსი	1,086,151	-	-	-	1,086,151
აჭარის ელექტროკავშირი	649,655	-	-	-	649,655
მაგთიკომი	449,000	466,000	482,000	446,000	1,843,000
საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია	319,000	307,000	307,000	308,000	1,241,000
დანარჩენი	751,000	804,000	784,000	765,000	3,104,000
	22,604,087	21,213,000	20,553,000	20,143,000	84,513,087


უსადენო ქსელის საცალო შემოსავლები:

¹ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) ინდიკატორების სტანდარტის შესაბამისად, ფიქსირებული ქსელებიდან მიღებულ შემოსავლად განიხილება მხოლოდ საცალო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

² სილქნეტი ავტორიზებული პირია 2010 წლის მარტიდან, რის გამოც მას იანვრის და თებერვლის მონაცემები არ წარმოუდგენია.

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ	ჯამი
მაგთიკომი	4,826,000	6,179,000	7,804,000	8,497,000	27,306,000
სილქნეტი	506,000	2,345,000	2,218,000	2,362,000	7,431,000
გაერთიანებული ტელეკომი	1,948,000	-	-	-	1948000
ქართული სატელეფონო კომპანია	171,000	156,000	141,000	111,000	579,000
	7.451.000	8.680.000	10.163.000	10.970.000	37.264.000

ერთი აბონენტისგან მიღებული საშუალო შემოსავალი (ARPU), 2010 წლის განმავლობაში, კლებით ხასიათდებოდა.



გამავალი ტრაფიკი

2010 წელს ფიქსირებული ქსელიდან გამავალმა ტრაფიკმა 2,6 მლრდ. წუთი შეადგინა. საგრძნობი ზრდა, ამ შემთხვევაშიც, უსადენო ტექნოლოგიების ნაწილში დაფიქსირდა. კომპანია მაგთიკომის ფიქსირებული ქსელიდან გამავალმა ტრაფიკმა, პირველ კვარტალთან შედარებით, 2.3-ჯერ მოიმატა.

გამავალი ტრაფიკი	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ	ჯამი
სილქნეტი	88,672,000	394,146,000	353,125,000	408,755,000	1,244,698,000
გაერთიანებული ტელეკომი	252,502,000	-	-	-	252,502,000
მაგთიკომი	65,051,000	90,395,000	120,359,000	150,170,000	425,975,000
ახალი ქსელები	102,115,000	104,147,000	67,802,000	90,384,000	364,448,000
ახტელი	61,340,000	70,128,000	46,896,000	62,716,000	241,080,000
აჭარის ელექტროკავშირი	17,847,000	-	-	-	17,847,000
საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია	11,828,000	10,957,000	8,768,000	10,632,000	42,185,000
დანარჩენი	8,516,000	6,983,000	6,878,000	6,385,000	28,762,000
	607,871,000	676,756,000	603,828,000	729,042,000	2,617,497,000

ფიქსირებული ინტერნეტის ბაზრის მიმოხილვა აბონენტები

საქართველოში ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტების¹ რაოდენობამ, 2010 წლის ბოლოს, 300'050 შეადგინა. მეოთხე კვარტალში აბონენტების რაოდენობა, პირველ კვარტალთან შედარებით, 26%-ით (62,000 მომხმარებლით) გაიზარდა.

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
სილქნეტი	101,123	107,765	112,908	127,782
კავკასუს ონლაინი	79,349	81,840	85,043	93,201
მაგთიკომი	31,223	34,550	40,843	43,428
ახალი ქსელები	10,333	11,317	11,978	14,084
სხვა (26) პროვაიდერი	16,016	10,617	18,235	21,555
	238,044	246,089	250,830	300,050

ინტერნეტის აბონენტების რაოდენობით კომპანია სილქნეტი ლიდერობს (42.6%).

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
სილქნეტი	42.5%	43.8%	42.0%	42.6%
კავკასუს ონლაინი	33.3%	33.3%	31.6%	31.1%
მაგთიკომი	13.1%	14.0%	15.2%	14.5%
ახალი ქსელები	4.3%	4.6%	4.5%	4.7%
სხვა (26) პროვაიდერი	6.7%	4.3%	6.8%	7.2%

ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტების 94 %-ს ფიზიკური პირები შეადგენენ.


	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
ფიზიკური	222,829	229,381	251,501	281,739
იურიდიული	15,215	16,708	17,506	18,311
	238,044	246,089	269,007	300,050

¹აბონენტად განიხილება პირი, რომელსაც კვარტალის ბოლო თვეს გაეწია ინტერნეტ-მომსახურება. ინტერნეტ-წვდომის ერთი წერტილით რამდენიმე მომხმარებელიც რომ სარგებლობდეს, იგულისხმება, რომ აბონენტი არის ერთი.

ტექნოლოგიები


ინტერნეტის მომხმარებლამდე მიწოდების ძირითად საშუალებად სადენიანი, კერძოდ - DSL (55.8 %) და ოპტიკურ-ბოჭკოვანი (28.7 %) ტექნოლოგიები გამოიყენება. უსადენო ინტერნეტის აბონენტები ძირითადად EVDO და CDMA ტექნოლოგიებით სარგებლობენ.

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ
DSL	137,888	139,043	151,592	167,470
Fiber-Optic	65,729	69,626	73,746	86,008
CDMA	19,015	19,090	20,550	20,466
EVDO	13,329	16,481	21,148	23,873
WiMax	703	679	680	812
სხვა¹	1,380	1,170	1,291	1,421
	238,044	246,089	269,007	300,050



2010 წლის ბოლო კვარტალში შესამჩნევად მოიმატა DSL და ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მოსარგებლე ინტერნეტის აბონენტების რაოდენობამ. აღსანიშნავია, რომ EVDO აბონენტების რაოდენობამ გაუსწრო CDMA აბონენტების რაოდენობას.

¹სხვა ტექნოლოგიებში შედის: WiFi, Sattelite, DOCSIS, Ethernet, Dial-Up



ინტერნეტის აბონენტების 90% საქართველოს დიდ ქალაქებზე¹ მოდის. ინტერნეტის მომხმარებლამდე მიწოდების ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია პრაქტიკულად მხოლოდ თბილისში და მცირე რაოდენობით რუსთავში გვხვდება.

დიდი ქალაქები	DSL	Fiber-Optic	WiMax	სხვა	სულ
თბილისი	91,158	84,243	652	622	176,675
ბათუმი	15,715	12	154	1	15,882
ქუთაისი	12,544	5		25	12,574
რუსთავი	9,178	1,691		4	10,873
ფოთი	3,906	10		1	3,917
	132,501	85,961	806	653	219,921
რეგიონები (დიდი ქალაქების გარდა)					
შიდა ქართლი	8,553	41		46	8,640
იმერეთი	6,684	1		213	6,898
კახეთი	5,203			8	5,211
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4,762			2	4,764
სამცხე-ჯავახეთი	4,450	4		33	4,487
ქვემო ქართლი	2,001	1		3	2,005
გურია	1,219			58	1,277
აჭარა	1,197				1,197
მცხეთა-მთიანეთი	789			8	797
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	111				111
	34,969	47	0	371	35,387
	167,470	86,008	806	1,024	255,308

¹არ განიხილებიან CDMA/EVDO აბონენტები, რადგან ისინი კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალზე მიბმული არ არიან.

შემოსავალი

ინტერნეტ კომუნიკაციებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2010 წელს 80.2 მლნ ლარი შეადგინა.

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ	2010
კავკასუს ონლაინი	7 758 958	8 043 882	7 793 857	8 586 636	32 183 333
გაერთიანებული ტელეკომი	4 193 212	-	-	-	4 193 212
სილქნეტი ¹	1 471 933	7 647 553	8 182 308	8 653 493	25 955 287
მაგთიკომი	1 492 327	1 343 839	1 600 950	1 528 223	5 965 340
ახალი ქსელები	907 050	977 250	1 010 140	1 165 999	4 060 440
დანარჩენი 26 პროვაიდერი	2 790 730	1 675 256	1 717 093	1 747 920	7 930 998
	18 614 210	19 687 780	20 304 348	21 682 272	80 288 609

აქედან -79 % ფიზიკურ, 21 % კი იურიდიულ პირებზე მოდიოდა.


	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ	2010
ფიზიკური	14 931 046	15 685 602	15 749 397	16 995 342	63 361 387
იურიდიული	3 683 164	4 002 177	4 554 951	4 686 930	16 927 223
	18 614 210	19 687 780	20 304 348	21 682 272	80 288 609

შემოსავლის თვალსაზრისით 2010 წლის ბოლო კვარტალში საბაზრო წილის 80%-ს სილქნეტი (39.9 %) და კავკასუს ონლაინი (39.6 %) ფლობდნენ.


	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ	2010
კავკასუს ონლაინი	41.7%	40.9%	38.4%	39.6%	40.1%
გაერთიანებული ტელეკომი	22.5%	-	-	-	5.2%
სილქნეტი	7.9%	38.8%	40.3%	39.9%	32.3%
მაგთიკომი	8.0%	6.8%	7.9%	7.0%	7.4%
ახალი ქსელები	4.9%	5.0%	5.0%	5.4%	5.1%
დანარჩენი 26 პროვაიდერი	15.0%	8.5%	8.5%	8.1%	9.9%

ერთი აბონენტისგან მიღებული საშუალო შემოსავალი (ARPU), 2010 წლის განმავლობაში, 25.1 ლარიდან 22.2 ლარამდე შემცირდა.

¹სს „სილქნეტი“ ავტორიზირებულია 2010 წლის მარტის თვიდან.



გავრცელებულ ტექნოლოგიებში ყველაზე მეტი ერთი აბონენტისგან მიღებული საშუალო შემოსავალი (ARPU) Wi-Max ტექნოლოგიას აქვს, ყველაზე მცირე - CDMA-ს



მაუწყებლობა და მაუწყებლობის ტრანზიტი

მაუწყებლობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2010 წელს 76.3 მლნ ლარი შეადგინა. აქედან 69.3 მლნ ლარი (90.8%) სატელევიზიო, ხოლო 7.0 მლნ ლარი (9.2%) რადიო მაუწყებლობაზე მოდიოდა.

სატელევიზიო მაუწყებლების შემოსავლის ძირითადი წყარო რეკლამებიდან და სპონსორობიდან მიღებული შემოსავალი იყო (ჯამში 84%):

სატელევიზიო მაუწყებლობის შემოსავალი

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ	2010
სულ შემოსავალი	12,934,887	24,300,809	10,245,767	21,788,276	69,269,739
აქედან					
შემოსავალი რეკლამიდან	9,507,855	20,481,623	7,233,464	16,630,348	53,853,289
შემოსავალი სპონსორობიდან	524,071	1,172,400	430,614	2,287,559	4,414,644
შემოსავალი შემოწირულობიდან	0	0	0	0	0
შემოსავალი ტელეშოფინგიდან	13,068	5,321	8,205	94,971	121,565

რადიოს მაუწყებლების შემთხვევაშიც მსგავსი სურათია - 2010 წელს შემოსავლის ძირითადი წყარო რეკლამა და სპონსორობა იყო (ჯამში 83%):

რადიოს მაუწყებლობის შემოსავალი

	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ	2010
სულ შემოსავალი	1,116,770	1,801,933	1,827,983	2,235,603	6,982,289
აქედან					
შემოსავალი რეკლამიდან	712,438	1,088,612	745,489	1,298,132	3,844,670
შემოსავალი სპონსორობიდან	291,444	540,908	527,786	575,656	1,935,794
შემოსავალი შემოწირულობიდან	5,187	111,324	513,777	305,337	935,625
შემოსავალი ტელეშოფინგიდან	3,492	10,483	1,590	12,350	27,915

2010 წელს მაუწყებლობის ტრანზიტს 82 ოპერატორი ეწეოდა. მათ მიერ მიღებულმა შემოსავალმა 13.7 მლნ ლარი შეადგინა¹, წლის ბოლოსთვის კი აბონენტების რაოდენობა 137 ათასი იყო².

კომპანია	I კვარტ	II კვარტ	III კვარტ	IV კვარტ	2010
ჯამი	3,454,496	3,309,091	3,021,912	3,902,708	13,688,207

¹ შემოსავალი დათვლილია ოპერატორების მიერ გადახდილი რეგულირების საფასურის მიხედვით

² აბონენტთა რაოდენობის წყაროს წარმოადგენს კომისიის აპარატის მაუწყებლობის დეპარტამენტისთვის წარდგენილი მონაცემები

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011-2012 წლების სტრატეგიული გეგმა

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების, შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით:

1. ფართოზოლოვანი ქსელის მფლობელი ოპერატორების ტექნიკურ საშუალებებთან შეუზღუდავი დაშვების უზრუნველყოფა;
2. ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების ევროკავშირის განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
3. მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების ევროკავშირის განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირების მიერ ბოლო მომხმარებლებისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების, მათთვის მომსახურების ფართო არჩევანისა და სატარიფო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით:

1. მომსახურების ხარისხის პარამეტრებისა და შესაბამისი სტანდარტების შემუშავება;
2. უნივერსალური მომსახურების დებულების მომზადება.

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების მფლობელი ავტორიზებული პირების მიერ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით:

1. სიხშირეთა განაწილების ეფექტურობის კვლევა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;
2. რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების ევროკავშირის განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

დანართი 1: აუდიტორის დასკვნა:




„რეიტინგი“

„RATING„ AUDIT FIRM

აუდიტორული ფირმა

0160. თბილისი. ვაჟა-ფშაველას გამ. №16.
მე-13 სართული. ტ. 37-49-38. მობ. 899-56-68-13.
www.auditfirm.ge ს/კოდი 211369017



№ 11-2/32

* 15 * იანვარი 2011 წ.

აუდიტორული დასკვნა

2011 წლის 07 აპრილიდან 15 აპრილამდე, (თანახმად 2011 წლის 07 აპრილის ხელშეკრულებისა) აუდიტორულმა ფირმა „რეიტინგი“ ჩაატარა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ 2010 წლის ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება.

საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მე-14 მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა ბუღალტრული ანგარიშგების სწორად შედგენაზე აკისრია „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“-ს ხელმძღვანელობას, ჩვენი მოვალეობა, რომ აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოვხატოთ ჩვენი აზრი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე და გავცეთ ახს 700 შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტორული შემოწმება საყოველთაოდ მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მოითხოვს აუდიტის ისეთიარად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ საიმედო გარანტია გვქონდეს დასკვნისთვის რომ ბალანსი არ შეიცავს არასწორ ცნობებს. აუდიტი მოიცავს, აგრეთვე, იმ მინაცემების შემოწმებას, რომლებიც ადასტურებენ ბალანსის ჯამურ მანუვრებლებს, აღრიცხვის გამოყენებული პრინციპების განხილვას, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული შეფასების შედეგებს და ბალანსის შესწავლას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბალანსის შედგენილია იმ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ საქართველოში ბუღალტრულ აღრიცხვას და ანგარიშგებას.

2010 წლის საბუღალტრო და ფინანსური დოკუმენტები, ძირითადად ხორციელდებოდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების, საყოველთაოდ მიღებული პრინციპების შესაბამისად. იგი ყველა არსებითი მხარით წარმოგვიდგენს „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 01 იანვრისთვის.



აუდიტორული ფირმა „რეიტინგი“-ს
დირექტორი
ირაკლი ჯალაღიშვილი



საბუღალტრო № N5/095
ფიცხვანა №224
ფიცხვანა №N175
საბუღალტრო №-4N081